მერის მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი #2

28 მაისი 2021 წ.

ქ. თერჯოლა

13:00 სთ.

2021 წლის 28 მაისს გაიმართა ქალაქ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდა საბჭოს 8 წევრი: **ლაშა გოგიაშვილი** - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი- საბჭოს თავმჯდომარე; **ივანე მარუაშვილი** - მერის თანაშემწე - საბჭოს მდივანი; **სოფიო ბუსკივაძე** - ექიმი - საბჭოს წევრი; **ელისო მურადაშვილი** - სკოლის დირექტორი, **მეწარმე - საბჭოს წევრი; ლია ჩხიკვაძე** - სკოლის დირექტორი - საბჭოს წევრი; **ნიკა კახიძე** - სს „თბს"-ის ბანკის თანამშრომელი - **საბჭოს** წევრი; **ალექსი ცქიფურიშვილი** - ადგილობრივი ბიზნესმენი - საბჭოს წევრი; **ზურაბ აბესაძე** - სტუდენტი - საბჭოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: **მევლუდ გეწაძე** - ბიზნესმენი - საბჭოს წევრი; **ირაკლი კუბლაშვილი** - ბიზნესმენი - საბჭოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: თერჯოლის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი მარიამ ქველიძე და ,,ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო"-ს წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მოხდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა:

დღის წესრიგი:

მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში;

მოისმინეს:

მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პირველი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი- ლაშა გოგიაშვილი უძღვებოდა. საბჭოს წევრებს მერმა გააცნო ,,ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო" წარმომადგენლები, რომლებიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში პროექტს, ,,მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში" ახორციელებენ.

განხილვისას გაზიარებული იქნა წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში, მოქალაქეთა ჩართულობა, როგორც დემოკრატიის ხარისხის ერთ–ერთ მნიშვნელოვანი ასპექტი და მახასიათებელი. დემოკრატია მოქალაქეებს საშუალებას უნდა აძლევდეს: ეფექტიანად ჩაერთოს მართვაში და დასვას მისთვის მნიშვნელოვანი საკითხი დღის წესრიგში, გამოხატოს საკუთარი პო ზიცია ამა თუ იმ საკითხზე და

მიიღოს სრული ინფორმაცია ხელისუფლების ორგანოებისაგან, ჰქონდეს გავლენა ხელისუფლებაზე . ეს უფლებები და შესაძლებლობები უნდა იყოს არა ნომინალური, არამედ ძლიერი და ეფექტიანი.

საბჭოს საქმიანობის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა. იგი შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მოთხოვნის შესაბამისად. საბჭოს, მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

„ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“ წარმომადგენლებმა პროექტის ფარგლებში ასევე მრჩეველთა საბჭოს წევრებს თერჯოლის მოსახლეობის COVID-19 – ის შემდგომი საჭიროებების შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, გამოკვეთილი პრობლემები და შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო.

ოქმის სინამდვილეს ვადასტურებთ და ხელს ვაწერთ საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საბჭოს თავმჯდომარე:

საბჭოს მდივანი: